უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

20 17 წ. "14" 09

ქ.თბილისი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს შემდეგი სახით:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	126	156	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	120	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
3	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	105	135	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
4	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	115	145	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
5	მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	მეოთხე	მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 99; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 64.	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 129; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 94.	10	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						20	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 14 სექტემბრის №8 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თუთა ნარმანია